

❖ გურიის რეგიონში ჩატარებული კვლევა

ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების კვლევა გურიის სამ მუნიციპალიტეტში 14 დეკემბრიდან 2018 წლის 2 თებერვლამდე გრძელდებოდა. სულ ჩატარდა 12 შეხვედრა, რომლებსაც ჯამურად 235 მონაწილე დაესწრო (აქედან 121 გოგონა, 114 ბიჭი). საშუალოდ ერთ შეხვედრას ესწრებოდა 20 მონაწილე (19,58).

1. ჯგუფური კვლევის შედეგები

1.1 ჯგუფის მიერ დასახელებული პრობლემები

12 ჯგუფის მიერ დასახელებულ იქნა 23 პრობლემა, რომლებიდანაც გამოვყავით 10 მითითადი პრობლემა. მათგან პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებლით აქვს შემდეგს: მანვე ჩვევები-თამბაქო, ანრკოტიკები (16%), სასკოლო ინვენტარის ნაკლებობა (14 %), ფინანსური პრობლემები (14 %), ასევე ახალგაზრდების თქმით საკმაოდ მწვავედ დგას სტადიონებისა და სპორტ დარბაზების ნაკლებობის საკითხიც (13%). ამ საკითხებთან ერთად ახალგაზრდებმა დაასახელეს შემდეგი სახის პრობლემებსაც:

- სტერეოტიპული საზოგადოება (11%);
- მიუწვდომელი ინფრასტრუქტურა (8 %);
- აზარტული, ონლაინ თამაშები (7%);
- მთავრობის ახალგაზრდული პოლიტიკის სისუსტე (6%);
- სოციალური ქსელებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება (6%);
- ძველი და მხოლოდ ქართულენოვანი წიგნები ბიბლიოთეკებში (5%);

პრობლემების ჩამონათვალში ასევე მოხვდა დროის დეფიციტი, ტრანსპორტი, ლაბორატორიის არ ქონა, სიზარმაცე და უნებისყოფიბა, დაბალი თვითშეფასება, არაფორმალური განათლების ცენტრების დეფიციტი, მენტალიტეტი და კომპლექსები, ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები, გასართობი და შემეცნებითი სივრცეების არასრებობა და ა.შ.

1.2 ტრენინგები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა 12 ტრენინგის საჭიროება, რომელიც მონაწილეებმა დაასახელეს. მონაცემების მიხედვით განსაკუთრებულ ინტერესს ახალგაზრდები აკლენენ 2 სახის ტრენინგის მიმართ: PR ტრენინგი-26 % და ზოგადი მენეჯმენტის ტრენინგები-21 %. კვლევის მონაწილეების მიერ ასევე დასახელდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- კომუნიკაცია (12 %);
- ვიდეომონტაჟის ტრენინგი (12%);
- ლიდერშიპის ტრენინგი (6%);
- რეჟისურა (6%);
- აკადემიური წერის უნარები (3%);
- ორატორული უნარები (3%);

- ტრენინგი სამოქალაქო აქტივობაზე (3 %);
- IT-ტრენინგი (3%);
- პროექტის წერის ტრენინგი (3%);
- სამოტივაციო ტრენინგი (3%).

2. ინდივიდუალური კვლევის შედეგები

2.1 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

კვლევის მინაწილე ორივე სქესის წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი სულ 40 საკითხები. მათ მიერ ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - **სკოლა (19.3%)** და **ოჯახი (10.7%)**. დასახელებულ საკითხებს შორის იყო შემდეგი:

- | | |
|--|---|
| • ინტერნეტი (6.4%); | • კლასგარეშე წრეების არსებობა (2.1%); |
| • მასწავლებლები (6.4%); | • მიზანდასახულობა (2.1%); |
| • მეგობრები (5%); | • მოტივაციის არსებობა (2.1%); |
| • წიგნიერება (5%); | • პროექტები და კონკურსები (2.1%); |
| • სოციალური ქსელი (4.3%); | • გარემო პირობები (1.4%); |
| • სპორტული სექციები (3.6%); | • კომპიუტერები სკოლებში და კიბერგანათლება (1.4%); |
| • სამოქალაქო კლუბები და კლასგარეშე წრეები (2.9%); | • კომუნიკაციის უნარები (1.4%); |
| • CSO-ებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა (2.1%); | • მუსიკა (1.4%) და ა.შ. ; |

ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად დასახელდა განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორებიც. ასეთი იყო სულ 47 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - **სოციალური ქსლების და ინტერნეტ მიმართ დამოკიდებულება (8.2%)** და **ოჯახების ფინანსური სიდუხჭირე (7.5%)**. დასახელებულებს შორის ასევე იყო კომპლექსები, სიზამრაცე, მოტივაციის ნაკლებობა, ლაბორატორიის არქონა, სპორდარბაზების არქონა, სტერეოტიპები აქაც გაკვირვებულ როგორ პორბლემა და ხელიშემშლელი ფაქტორი, ასევე დასახელდა განათლების ნაკლები ხარისხი და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ტელეფონის, კომპიუტერის, ინტერნეტისა და აზარტული თამაშებზე დამოკიდებულება, სასკოლო ინვენტარის ნაკლებობა და ა.შ.

2.2 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - ბიჭები

მოხდა შედეგების უფრო კონკრეტული კატეგორიზაციაც, კვლევის მონაწილე მამრობითი სქესის წარმომადგენლების (ბიჭების) მიერ გამოვლინდა ინდივიდუალურად დასახელებული ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი საკითხები. სულ დასახელებულ იქნა 27 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - სკოლა (21.7%) და ინტერნეტი - საჭირო ინფორმაციის მოძიება (10.1%).

გარდა ამისა აქვე ბიჭების მიერ დადებით ფაქტორებს შორის დასახელდა ოჯახი და კარგი აღზრდა, სოციალური ქსელები, მეგობრები, სპორტული სექციები, წიგნიერება და ა.შ. რაც შეეხება ხელისშემშლელ ფაქტორებს, აქ კვლევის მონაწილე მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებზე საუბრისას ინდივიდუალურად დასახელეს 31 საკითხი, აქედან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს-ფინანსური სიდუხჭირე (9.5%) და სოციალურ სელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (9.5%). დასახელებულ ფაქტორებს შორის ასევე მოხვდა კომპლექსები, განათლების ნაკლები ხარისხი, ინტერნეტი და აზარტული თამაშები, სტადიონებისა და სპორტდარბაზების არქონა, სტერეოტიპული ჩარჩოები და ა.შ.

2.3 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - გოგოები

მდებრობითი სქესის წარმომადგენლების (გოგოების) მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 31 საკითხი. ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - სკოლა (16.9%) და ოჯახი - კარგი აღზრდა და ხელშეწყობა (14.1%). მათ მიერ დასახელებულ საკითხებს შორის ასევე მოხვდა მასწავლებლები, სამოქალაქო კლუბები და კლასგარეშე წრეები, მეგობრები, პროექტები და კონკურსები, წიგნიერება, ინტერნეტი და ა.შ. ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის კი გამოიკვეთა სკოლებში ლაბორატორიების არქონა (8.5%), სიზარმაცე და მოტივაციის არქონა (7.0%) და სოციალურ სელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (7.0%). აქვე, დასახელებულ 35 საკითხს შორის იყო მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ფინანსური სიდუხჭირე, აგრესიული საზოგადოებრივი სტერეოტიპები და ა.შ.

3. კვლევის მონაწილეების უკუკავშირის შედეგები

3.1 ინტერნეტსა და კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა

კვლევის მონაწილეებს ინდივიდუალურად დაურიგდათ კითხვარი, სადაც 13 კითხვა იყო. აღნიშნული კითხვების ძირითადი დანიშნულება იყო ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ უკუკავშირის მიღება და გამოკითხული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის დონის განსაზღვრა ინტერნეტისა და კომპიუტერების გამოყენების მიმართ, ასევე ონლაინ სასწავლო კურსების თემატიკის დადგენას.

სულ 218 მონაწილემ შეავსო კითხვარი, ანუ კვლევის 93% პროცენტმა დაგვიბრუნა შევსებული ანკეტა. მიღებული მონაცემების მიხედვით ინტერნეტზე წვდომა აქვთ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას, **მხოლოდ 3%-ისათვის არ არის ინტერნეტი** ხელმისაწვდომი. ხოლო კომპიუტერთან წვდომა გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას აქვს, მხოლოდ **7%-ისათვის არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი**.

3.2 სასურველი ონლაინ სასწავლო კურსები და ადგილობრივ ინიციატივებსა და პროექტებში ჩართვის სურვილი

კვლევის მონაწილეებმა დაასახალეს 25 თემა, რომლებზედაც ისინი მზად არიან გაიარონ ონლაინ სასწავლო კურსები. ონლაინ კურსით დაინტერესება **გამოხატა გამოკითხულთა 68%** პროცენტმა. დასახელებულ იქნა შემდეგი თემები:

- უცხოენის კურსები;
- ხელოვნების ისტორია;
- ახალგაზრდების ჩართულობა პროცესში;
- განათლების დონეზე,
- გარემოს დაცვა;
- პოლიტიკური ,
- ეკონომიკური და სოციალურ პრობლემები;
- სტერეოტიპების შესახებ;
- ვიდეომონტაჟის შესახებ;
- როგორ ავირჩიოთ სწორი პროფესია;
- მენეჯმენტის კურსები;
- სპორტი და სპორტული აქტივობები;
- გენდერულ თანასწორობა;
- ისტორია;
- ფოტოგრაფიის კურსები,
- PR-ტრენინგი;
- არსებულ აქტუალურ პრობლემებზე;
- ფსიქოლოგიურ თემებზე;
- ადამიანის მოტივაციასა და პროფესიაზე;
- რეჟისურა;
- კომპიუტერი და ქსელური ტექნოლოგიები;
- სოციალურ ქსელებზე;
- ნებისმიერ, საინტერესო თემაზე
- როგორ გავთავისუფლდეთ კომპლექსებიდან;
- წიგნიერების დონის ამაღლების შესახებ;

ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში ჩართვის სურვილი გამოხატა გამოკითხულთ 87% პროცენტმა. თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში მხოლოდ 28% მონაწილეობს.

3.2 კვლევის უკუკავშირი

კვლევაში მონაწილეობის და ზოგადად ჩატარებული შეხვედრის მიმართ კმაყოფილება დააფიქსირე გამოკითხულთა 93%-მა. გამოკითხულებს საშუალება ჰქონდათ 4 ქულიანი სისტემით შეეფასებინათ თავიანთი კმაყოფილების ხარისხი. გამოკითხულთა 97 პროცენტი თვლის, რომ მათ ჰქონდათ პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა 97% . მოსაზრებების სრულად გამოთქმა შესძლო გამოკითხულთა 86%-მა. შეხვედრის წამყვანების ფასილიტაციის უნარები ასევე დადებითად იქნა შეფასებული გამოკითხულთა 97% პროცენტის მიერ.

კითხვაზე თუ რა იყო ჩატარებულ შეხვედრაზე თქვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი დასახელებულ ვარიანტებს შორის იყო „ახალგაზრდების ჩართულობა და ჯგუფური სამუშაო“, „პრობლემების გადჭრის შესახებ მსჯელობა“, „უარყოფითი ფაქტორების გამოყოფა თვითრეალიზებასთან დაკავშირებით“, „პრობლემების გამოკვეთის კრეატიული ფორმები, ჯგუფური მსჯელობა“, „მნიშვნელოვანი იყო იმის მოტივაცია, რომ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ჩვენ თვითონ წრეები“, „დადებით და უარყოფით პრობლემებზე საუბარი და მსჯელობა ამ თემასთან დაკავშირებით“ და მრავალი სხვა.

მონაწილეებმა უკუკავშირის სახით სამუშაო ჯგუფს ასევე გაუზიარეს შემდეგი რეკომენდაციები:

- „კარგი იქნება, მომავალში უფრო მასშტაბური იყოს ამგვარი შეხვედრა“.
- „სასურველია ხშირად ჩატარდეს ტრენინგები“.
- „ძალიან კარგი იქნება თუ განმეორდება მსგავსი შეხვედრები“.
- „ასეთ კვლევებს ხელისუფლება უნდა ატარებდეს“.
- აუცილებლად განახორციელეთ დაგეგმილი პროექტები“.

4. ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება

1. ახალგაზრდების მიერ მათი განვითარების მთავარ გამოწვევად ე.წ. მანე ჩვევები (ნარკოტიკები, თამბაქო) დასახელდა - **(16%)**.
2. ახალგაზრდების უმეტესობას **(14%)** ფინანსური პრობლემები უდგას, რაც სწორხაზობრივად აისახებუ მათ განათლების დონეზე, რადგანაც მათივე აზრით უკეთესი განათლების მიღების საშუალება ე.წ. რეპეტიტორებია.
3. ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი დიდი უმრავლესობა **(87%)** მიიჩნევს, რომ აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა 2017 წელს მხოლოდ **29%**-მა მიიღო რეალური მონაწილეობა რეგიონის მასშტაბით განახორციელებულ სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებში.
4. კვლევის მონაწილე ორთავე სქესი წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალურად

დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 40 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - სკოლა (19.3%) და ოჯახი (10.7%).

5. ორთავე სქესი წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 47 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ - სოციალური ქსლების და ინტერნეტ მიმართ დამოკიდებულება (8.2%) და ოჯახების ფინანსური სიდუხჭირე (7.5%).
6. კვლევის მონაწილე მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ დასახელდა მეტი ფაქტორი, როგორც განვითარების ხელშემწყობი, ასევე ხელისშემწყობი. (გოგონების) მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 31 საკითხი, ბიჭებმა დაასახელეს 27 საკითხი. გოგონების მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 35 საკითხი, ბიჭებმა დაასახელეს 31 საკითხი.
7. მამრობითი სქესის წარმომადგენლებს (ბიჭებს) ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობ ყველაზე მნიშვნელოვნ ფაქტორებად მიაჩნიათ - სკოლა (21.7%) და ინტერნეტი - საჭირო ინფორმაციის მოძიება (10.1%). მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს (გოგონებს) კი ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ - სკოლა (16.9%) და ოჯახი - კარგი აღზრდა და ხელშეწყობა (14.1%).
8. მამრობითი სქესის წარმომადგენლების (ბიჭებს) ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი ყველაზე მნიშვნელოვნ ფაქტორებად მიაჩნიათ - ფინანსური სიდუხჭირე (9.5%) და სოციალურ სელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (9.5%). კვლევის მონაწილე მდედრობითი სქესის წარმომადგენლების (გოგონებს) კი სკოლებში ლაბორატორიების არქონა (8.5%), სიზარმაცე და მოტივაციის არქონა (7.0%) და სოციალურ სელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (7.0%).
9. ორთავე სქესი წარმომადგენლების აფიქსირებდნენ, რომ ზოგადი განათლების მიღების საშუალება მაღალია ქალაქების სკოლებში და ამ მხრივ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან.

❖ აჭარის რეგიონში ჩატარებული კვლევა

მიმდინარე წლის 5 – 28 მარტს, აჭარის რეგიონში ახალგაზრდების მდგომარეობის და საჭიროებების კვლევა ჩატარდა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, სულ ჩატარდა 12 შეხვედრა, რომლებსაც ჯამურად 244 მონაწილე დაესწრო (აქედან 155 გოგონა, 89 ბიჭი). საშუალოდ ერთ შეხვედრას ესწრებოდა 20 მონაწილე (20,33). ანგარიში მომზადებულია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის“ მიერ.

1. ჯგუფური კვლევის შედეგები

1.1 ჯგუფის მიერ დასახელებული პრობლემები

აჭარის რეგიონში ჯგუფური კვლევის შედეგების მიხედვით 12 ჯგუფიდან გამოვლინდა 44 პრობლემა, რომლიდანაც მოხდა 16 ძირითადი პრობლემის გამოყოფა.

- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (13%);
- მავნე ჩვევები (თამბაქო, ნარკოტიკები-13%);
- დროის დეფიციტი (11%);
- სტერეოტიპული საზოგადოება (10%);
- ფინანსური პრობლემები (9%);
- კვალიფიკაციის არ მქონე პედაგოგები (5%);
- ტელეფონისა და კომპიუტერის მიმართ დამოკიდებულება (5%);
- სოციალური ქსელები და ინტერნეტზე დამოკიდებულება (5%);
- არამოტივირებული მოსწავლეები (4%);
- სამუშაო ადგილების არ არსებობა (4%);
- სტუდენტზე არაორიენტირებული სასწავლო კურსი (4%);
- ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები (4%);
- ბიუროკრატია (3%);
- ინფორმაციის გავრცელების სირთულე (3%);
- მოსწავლეებზე არამორგებული სასწავლო კურსი (3%);
- ბულინგი (3%).

1.2 ტრენინგები

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა 10 ტრენინგის საჭიროება, რომელიც დასახელებულ იქნა მონაწილეების მიერ, მონაცემების მიხედვით, განსაკუთრებული მოთხოვნაა 2 სახის ტრენინგის მიმართ: **ადვოკატირება/თვითადვოკატირება - 19% და საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა განხორციელების სასწავლო ტრენინგი - 20 %**. მონაწილეების მიერ დასახელებულ ტრენინგების თემებს შორის ასევე იყო პროექტების წერა, მენეჯმენტი, საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა-განხორციელება, პანდრაიზინგი, მოლაპარაკების ხელოვნება, განცხადების წერის და საჯარო მართვის ფორმები და ლიდერობა.

1.3 ჯგუფის მიერ დასახელებული ახალგაზრდების განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები (ხელვაჩაური)

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა მიმდინარეობდა ორ მუნიციპალიტეტში **ხელვაჩაურში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ყველაზე პრიორიტეტული ხელისშემშლელი ფაქტორებად** დასახელდა შემდეგი 8 ფაქტორი: კვლევის მონაწილეთა საკმაო რაოდენობა ასახელებს მავნე ჩვევებს (თამბაქო, ნარკოტიკები), დასახელდა მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, დროის დეფიციტი, ტელეფონისა და კომპიუტერის მიმართ ასევე სოციალური ქსელებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება, ზოგადი განათლების სისტემის პრობლემებიც, სტერეოტიპული საზოგადოება და მოსწავლეებზე არამორგებული სასწავლო კურსი.

ხოლო **ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის ხელშემშლელი** შემდეგი 6 ფაქტორი:

- ფინანსური პრობლემები;
- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა;

- სტერეოტიპული საზოგადოება;
- დროის დეფიციტი;
- სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო კურსი;
- ბულინგი.

2. ინდივიდუალური კვლევის შედეგები

2.1 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები

ორივე სქესის წარმომადგენლებმა ინდივიდუალურად დასახელებს ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი 45 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - **ახალგაზრდული პროგრამების არამრავალფეროვნება (8.7%) და სოციალურ ქსელი (ინტერნეტი) დამოკიდებულება - (6.5%)**. დანარჩენ ხელიშემშლელ საკითხებს შორის იყო კომპიუტერზე დამოკიდებულება, ბულინგი, სტერეოტიპული საზოგადოება, დროის ასასწორი მენეჯმენტი, არადაპტირებული გარემო და ა.შ.

რაც შეეხება ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობ საკითხებს, აქ კვლევის შედეგის მიხედვით ორივე სქესის წარმომადგენლები **ასახელებენ 44 ფაქტორს, სადიანაც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა-სკოლა (19.3 %) და ოჯახი (10.7 %)**. ხელისშემწყობ ფაქტორებს შორის ასევე გამოვლინდა ინტერნეტი, მასწავლებლები, მეგობრები, წიგნიერება, სპორტული სექციები, სამოქალაქო განათლების კლუბები, კლასგარეშე წრეების არსებობა და ა.შ.

2.2 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - ბიჭები

კვლევის მონაწილე მამრობითი სქესის წარმომადგენლების (ბიჭების) მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი საკითხები. სულ დასახელებულდა 30 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად კი ჩაითვალა - **ინტერნეტი (საჭირო ინფორმაციის მოძიება) (11.3%) და კომუნიკაციის უნარები (9.7%)**. სხვა დასახელებულ ფაქტორებს შორის იყო პროექტები და კონკურსები, სკოლა, ახალგაზრდული ცენტრის არსებობა, არაფორმალური განათლების ცენტრების არსებობა, ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მრავალი სხვა.

რაც შეეხება ბიჭების შემთვევაში განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს, აქ მამრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალურად დასახელებულდა 33 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ხელიშემშლელ ფაქტორებად კი ჩაითვალა - **კომპიუტერზე დამოკიდებულება (7.9%) და სოციალურ ქსელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (6.3%)**. დასახელებულებს შორის იყო ახალგაზრდული პროგრამების არამრავალფეროვნება, სტუდენტებზე არაორიენტირებული სასწავლო კურსი, მოსწავლეზე არამორგებული სასწავლო კურსი, მავნე ჩვევები (თამბაქო, ნარკოტიკები), დროის ასასწორი მენეჯმენტი და სხვა.

2.3 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - გოგონები

მდედრობითი სქესის წარმომადგენლების (გოგოების) მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი 28 საკითხი. ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - **ოჯახი - კარგი აღზრდა და ხელშეწყობა (9.7%)** და **CSO-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა (9.7%)**. მათ მიერ დასახელებულ საკითხებს შორის ასევე აღმოჩნდა ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდული ცენტრების არსებობა, ბიბლიოთეკა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ.

ახალგაზრდობის განვითარების ხელისშემშლელი საკითხების შემთვევაში კი კვლევის მონაწილე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა (გოგონების) ინდივიდუალურად დაასახელეს ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი 32 საკითხი, მათგან ყველაზე ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - **ახალგაზრდული პროგრამების არამრავალფეროვნება (11.3%)**, **ბუღინგი (8.5%)** და **სოციალურ ქსელებზე (ინტერნეტი) დამოკიდებულება (7.0%)**. გოგოების მიერ დასახელებულ ხელიშემსლელ ფაქტორებს შორის ასევე მოხვდა კვალიფიკაციის არმქონე პედაგოგები, ფინანსური სიდუხჭირე, კომპიუტერზე დამოკიდებულება, სტერეოტიპული საზოგადოება, არადაპტირებული დარემო და სხვა.

3. კვლევის მონაწილეების უკუკავშირის შედეგები

აჭარის რეგიონის შემტვევაშიც მოხდა კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ უკუკავშირის მიღება და გამოკითხული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის დონის განსაზღვრა ინტერნეტისა და კომპიუტერების გამოყენების მიმართ, ასევე ონლაინ სასწავლო კურსების თემატიკის დადგენა.

სულ 207 მონაწილემ შეავსო კითხვარი, ანუ კვლევის 93% პროცენტმა დაგვიბრუნა შევსებული ანკეტა.

3.1 ინტერნეტსა და კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა

მიღებული ინფორმაციის დამუშავების მიხედვით გამოიკვეთა რომ ინტერნეტზე წვდომა აქვთ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას, **მხოლოდ 1%-ისათვის არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი.**

ხოლო კომპიუტერთან წვდომასთან დაკავშირებული მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას, აქვს, **მხოლოდ 3%-ისათვის არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი.**

3.2 სასურველი ონლაინ კურსები და ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში ჩართვის სურვილი

მონაწილეების მიერ დასახელდა 29 თემა, რომლებზედაც ისინი მზად არიან გაიარონ ონლაინ სასწავლო კურსები. ონლაინ კურსით დაინტერესება გამოხატა გამოკითხულთა 72% პროცენტმა. დასახელებულ იქნა შემდეგი თემები:

- უცხოენის კურსები;
- სამართალი;
- პროექტების წერა;
- როგორ ავირჩიოთ სწორი პროფესია;
- პირველადი სამედიცინო დახმარება;
- ონლაინ რესურსების გამოყენება;
- ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში;
- ადამიანის უფლებები;
- კულტურა/ხელოვნება;
- ადვოკატირება/ლობირება;
- კომპიუტერული პროგრამები;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- სამოქალაქო აქტივიზმი;
- გენდერული საკითხები;
- ეკოლოგია;
- პრობლემების იდენტიფიცირება/გადაჭრის მექანიზმების შესახებ;
- PR-ტრენინგი;
- არქიტექტურა;
- საჯარო სექტორის მონიტორინგი;
- ბულინგი;
- დროის მენეჯმენტი;
- ზოგადი მენეჯმენტის კურსები;
- მარკეტინგის კურსები;
- ლიდერობა;
- დებატების ხელოვნება;
- საჯარო გამოსვლები;
- ეკონომიკა;
- ინიციატივების სწორი ფორმულირება/განხორციელება;
- ტრენერთა ტრენინგი;

ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში ჩართვის სურვილი გამოხატა გამოკითხულთ 87% პროცენტმა. თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში მხოლოდ 28% მონაწილეობს.

3.3 კვლევის უკუკავშირი

კვლევაში მონაწილეობის და ზოგადად ჩატარებული შეხვედრის მიმართ კმაყოფილება დააფიქსირე გამოკითხულთა 89%-მა. გამოკითხულთა 93 % თვლის, რომ მათ ჰქონდათ პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა. მოსაზრებების სრულად გამოთქმა შეძლო გამოკითხულთა 85%-მა. შეხვედრის წამყვანების ფასილიტაციის უნარები ასევე დადებითად იქნა შეფასებული გამოკითხულთა 93% პროცენტის მიერ.

კითხვაზე თუ რა იყო ჩატარებულ შეხვედრაზე თქვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი დასახელებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- „ჩვენ მიერვე ჩვენი საჭიროებათა გამოვლენა“;
- „პრობლემის გადაჭრის გზების ჩვენეული ხედვით პოვნა“;
- „ერთმანეთისთვის მოსაზრებების გაზიარება“;
- „აზრების გაცვლა, ერთმანეთისთვის რჩევების მიცემა“;
- „საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების საინტერესო გზით ;განხილვა“;
- „კვლევის პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიღება და გაზიარება“;
- „დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა და განხილვა“;
- „ჯგუფური მუშაობა“;

გამოკითხულებმა დააფიქსირეს რამდენიმე რეკომენდაცია: „ყველა თემში ჩატარდეს მსგავსი შინაარსის შეხვედრები“, „ძალიან კარგი იქნება თუ დისკუსიების ორგანიზება მოხდება“, „კარგი იქნება თუ კვლევის მასშტბი გაიზრდება და სხვა მუნიციპალიტეტშიც მიიღებენ მონაწილეობას“, „კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებს ყავას შესვენებისთვის და ენერჯაიზერებს უფრო მეტი რაოდენობით“

4.ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება

1. ახალგაზრდების მიერ მათი განვითარების მთავარ გამოწვევად ე.წ. მავნე ჩვევები (ნარკოტიკები, თამბაქო) დასახელდა - (54)
2. ახალგაზრდების უმეტესობა განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ მიზეზად მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას ასახელებს - (44), რაშიც იგულისხმება როგორც სასკოლო ინფრასტრუქტურა ასევე, ის გარემო, სადაც ახალგაზრდული პროექტები და აქტივობები ხორციელდება. აღნიშნული პრობლემა მეტწილად გამოხატულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სადაც გამოკითხულთა ორთავე სქესის წარმომადგენელი ახალგაზრდული ცენტრის არსებობას დადებითად აფასებს, თუმცა სოფლებში მსგავსი ცენტრების დაარსება აუცილებლად მიაჩნიათ.
3. დროის დეფიციტი (43) ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც განპირობებულია მოსწავლეებისთვის რეპეტიტორებთან და სკოლასთან შეუთავსებელი სასწავლო გრაფიკით, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მათ აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში.
4. ასევე, ახალგაზრდები ასახელებენ სტერეოტიპულ საზოგადოებას, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ახალგაზრდებს თვითრეალიზებაში (39). უყალიბებს გარკვეულ კომპლექსებს, რაც თავის მხრივ მომავალში ყალიბდება ბულინგის განმაპირობებელ მიზეზებად.

5. ფინანსური სიდუხჭირე (39) კი ახალგაზრდების ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება თვითგანვითარების ხელმიუწვდომლობის თვალსაზრისით, კერძოდ ახალგაზრდების ფასიანი ტრენინგები ნაკლებად ხელმსიწვდომია.
6. კომპიუტერულ თამაშებსა და სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება (30) ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიერ დასახელდა უმთავრეს დასაძლევ პრობლემად. მათი თქმით დროის დიდ ნაწილს ახალგაზრდების უმრავლესობა სოციალურ ქსელში ფუჭად ხარჯავს, რაც არამართო ინდივიდუალურად მომხმარებელზე არამედ ქსელური თამაშები ჯგუფურად ახდენს ნეგატიურ გავლენას.
7. პედაგოგებისა კვალიფიციურობის პრობლემა ორივე მუნიციპალიტეტში თანაბრად დგას (25), რაც ახალგაზრდებს ესახებათ თავიანთი განვითარების მთავარ პრობლემად.
8. ლაბორატორიების არ ქონა (17) ხელს უშლის ახალგაზრდების მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცებას, რაც სამომავლოდ მოსწავლეებს არაკონკურენტუნარიანს ხდის.
9. ახალგაზრდული პროგრამების შესახებ (10) ინფორმაციის ნაკლებობა ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა მეტწილად ბათუმის მუნიციპალიტეტში, ორთავე სქესის წამომადგენლების თქმით მათთვის ინფორმაცია ცნობილი ხდება აქტივობის ჩატარების შემდეგ. მუნიციპალური პროგრამების შესახებ კი ინფორმაცია თითქმის არ აქვთ. არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი კონკურსებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას არაეფექტიანად ავრცელებენ, რაც იწვევს ახალგაზრდების დაბალ ჩართულობას.
10. ახალგაზრდების მცირეოდენმა ჯგუფმა ინკლუზიური მიდგომების ნაკლებობა (5) დაასახელა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების დროს. რაც იწვევს შშმ პირთა დაბალ ჩართულობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

❖ შიდა ქართლის რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გორის ფილიალის მიერ ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა შიდა ქართლის რეგიონშიც. კვლევის ფარგლებში , გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 9 შეხვედრა, აქედან 4 შეხვედარა ჩატარდა ქალაქში, დანარჩენი 5 დევნილთა ჩასახლებებსა და საზღვრისპირა სოფლებში. კვლევაში ჯამში 137 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა(61 ბიჭი, 76 გოგო), აქედან სტუდენტი იყო 29, მოსწავლე კი 108. მათ შორის ლტოლვილის სტატუსით 42.

1.ჯგუფური კვლევის შედეგები

1.2 ჯგუფის მიერ დასახელებული პრობლემები

გამოკვეთილი პრობლემებიდან მოხდა მათი კლასიფიცირება და 10 ძირითადი პრობლემა ასე გადანაწილდა:

- ფინანსური პრობლემები (18%);
- ინფრასტრუქტურული პრობლემები (14%);

- ინტერნეტის არასწორი გამოყენება (10%);
- გასართობი თავშეყრის ადგილების არარსებობა (10%);
- დისკრიმინაცია, ბულინგი (9%);
- მოუწესრიგებელი ტრანსპორტი (8%);
- უპერსპექტივო გარემო (8%);
- არაფორმალური განათლების სიმცირე (8%);
- განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები (8%);
- სპორტული დარბაზების და ინვენტარის ნაკლებობა (7%).

აღნიშნულის გარდა დასახელებულ პრობლემებს შორის იყო კარგი ბიბლიოთეკის არარსებობა, სტერეოტიპებით ჩამოყალიბებული კომპლექსები, უფუნქციო სათემო ცენტრი, მოუხერხებელი, მოუწესრიგებელი ტრანსპორტი და მრავალი სხვა.

1.2 ტრენინგები

კვლევამ ასევე გამოავლინა იმ ტრენინგების საჭიროება, რაც ახალგაზრდებს მეტად სჭირდებათ განვითარებისთვის. მათი უმრავლესობა (25%) თვლის, რომ ბევრი რამის მოგვარება არის შესაძლებელი, თუ ადვოკატირება და პროექტების წერა (-21%) ეცოდინებათ. მათ მიერ დასახელებულ მათთვის საინტერესო სატრენინგო თემებს შორის ასევე იყო ფინანსების მოძიება, კომუნიკაცია, პრევენტაციი სუნარები, დროის მართვა, ლიდერშიპი, ფსიქოლოგია და მოტივაციი სგაზრდა.

2. ინდივიდუალური კვლევის შედეგები

2.1 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

კვლევის მონაწილე ორივე სქესის წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალურად დასახელებულდა ახალგაზრდების განვითარების ხელისშემწყობი საკითხები. სულ დასახელებული იყო 32 საკითხი, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა - სკოლა, ფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა (14%) და ინტერნეტი, საკომუნიკაციო საშუალებები (12%). მათ მიერ განვითარების ხელშემწყობს ფაქტორებად ასევე დასახელდა ბიბლიოთეკის არსებობა, განათლების მიღების შესაძლებლობა, სათემო ცენტრების არსებობა და ა.შ.

ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ინდივიდუალურად დასახელებისას განსაკუთრებით გამოიკვეთა - სპორტული ინვენტარის არ არსებობა (14%) და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (9%). განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ასევე იყო განათლებისათვის არასაკმარისი ფინანსები, თავშეყრის ადგილების არარსებობა, ინტერნეტის სასარგებლოდ გამოყენების არ ცონდა, მოუხერხებელი, მოუწესრიგებელი ტრანსპორტი და სხვა.

2.2 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - ბიჭები

მამრობითი სქესის წარმომადგენლების (ბიჭები) მიერ ინდივიდუალურად დასახელებული იქნა ახალგაზრდების ხელისშემწყობი 24 საკითხი. ყველაზე მნიშვნელოვანად ჩაითვალა **ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა (21%)** და **ბიბლიოთეკების არსებობა (15%)**. მონაწილეთა მიერ ამ კატეგორიაში ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის ასევე იყო სკოლა, ტექნოლოგიური პროგრესი, სპორტულ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

ბიჭების მიერ ახალგაზრდობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ინდივიდუალურად დასახელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა **-სპორტული ცხოვრებისთვის ცუდი პირობები (17%), მოუწესრიგებელი გარემო (13%)** და **ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილის არ არსებობა (11%)**. მთლიანობაში ერთად დასახელდა 22 საკითხი, რომელთა შორის ასევე იყო ფინანსური პრობლემები, გასართობი ადგილების არარსებობა, არაფორმალური განათლების სიმცირე, განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები და სხვა.

2.3 ინდივიდუალურად დასახელებული განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები - გოგონები

მდედრობითი სქესის წარმომადგენლმა ახალგაზრდობის განვითარებია ხელისშემწყობ მიზეზებზე საუბრისას დაასახელეს 21 საკითხი. მათ შორის განსაკუთრებულად გაესვა ხაზი **საკომუნიკაციო საშუალებების არსებობა (17%)** და **ახალგაზრდების წიგნით დაინტერესებას (15%)**. მათთან ერთად დასახელებდა სკოლის არსებობა და მისგან მიღებული სარგებელი, ბიბლიოთეკის არსებობა, ხელმისაწვდომი არაფორმალური განათლება, განათლების მიღები სშესაძლებლობა და სხვა.

რაც შეეხება ხელის შემშლელ ფაქტორებს გოგონებმა დაასახელეს 24 საკითხი. ყველაზე მნიშვნელოვანად ჩაითვალა **მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (17%)** და **არასაკმარისი ფინანსები (15%)**. დასახელებულ ფაქტორებს შორის ასევე იყო უფუნქციო სათემო ცენტრები, თავშეყრის ადგილების არარსებობა, სტერეოტიპებით ჩამოყალიბებული კომპლექსები, სოც.ქსელებზე დამოკიდებულება და ა.შ.

3. კვლევის მონაწილეების უკუკავშირის შედეგები

შიდა ქართლის რეგიონში ჩატარებული კვლევის დასასრულს, დანარჩენი ორი რეგიონის მსგავსად კვლევის მონაწილეებს ინდივიდუალურად დაურიგდათ კითხვარი, რათა მომხდარიყო ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ უკუკავშირის მიღება და გამოკითხული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის დონის განსაზღვრა ინტერნეტისა და კომპიუტერების გამოყენების მიმართ, ასევე ონლაინ სასწავლო კურსების თემატიკის დადგენა. ამ შემთხვევაშიც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია და რეკომენდაციები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არცერთმა სოფელში მცხოვრებმა ახალგაზრდამ

არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და რეკომენდაციისგან თავი შეიკავა .კითხვარი შეავსო 121 ახალგაზრდამ, რაც საერთო გამოკითხულთა 90% წარმოადგენს.

3.1 ინტერნეტსა და კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა აქვს გამოკითხულთა 63%-ს და მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, გამოკითხულთა უმრავლესობა განიხილავს ამას დადებით ჭრილში, მაშინ როცა ზოგი ინტერნეტის და საკომუნიკაციო საშუალებების არსებობას ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებს. ეს უკავშირდება იმ პრობლემას, რომ ახალგაზრდებმა ხშირად არ იციან ინტერნეტის სასიკეთოდ გამოყენება და მას მხოლოდ დროის ფლანგვის მიზნით, ან უბრალოდ სოციალურ ქსელზე მიჯაჭვულობის მიზნით იყენებენ.

მიღებული მონაცემების მიხედვით კომპიუტერთან წვდომაც გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს, 59% სახლის პირობებში და უმცირესობა 6 % ასახელებს სხვა საშუალებას, რომელშიც მობილურ ინტერნეტს ასახელებენ.

3.2 სასურველი ონლაინ კურსები და ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში ჩართვის სურვილი

ონლაინ უფასო სწავლებასთან დაკავშირებით დაინტერესებას გამოთქვამს 64% . ასევე ხაზგასმით ჩანს, რომ ის დანარჩენი 36% ,რომელიც არ არის დაინტერესებული ონლაინ სწავლებით, სოფელში მცხოვრები მოსწავლეები არიან. ასევე განსხვავებულია მათი ინტერესები სწავლებასთან დაკავშირებით, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები მეტად დაინტერესებული არიან მენეჯმენტით, ფინანსების მოძიებით, ბუღინგის მოგვარებით, მაშინ როცა ქალაქ გარეთ უცხო ენების სწავლა, ჟურნალისტიკა და პროექტებოს წერა აინტერესებთ.

- ბუღინგის მოგვარება;
- უცხო ენები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ჟურნალისტიკა;
- სოციალური მედია;
- ფოტოგრაფია;
- მენეჯმენტი;
- ტექნოლოგიები;
- მხატვრობა;
- მარკეტინგი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- სამართალი;
- პროგრამირება;
- ჟურნალისტიკა;
- ასტრონომია;
- კამერასთან ურთიერთობა;
- ორატორობა
- ფინანსების მოძიება და მართვა;
- პროექტების წერა;
- უცხო ენები;
- რეზიუმეს შევსება და სამოტივაციო წერილის წერა;
- პრეზენტაციის გაკეთება ეფექტიანად;
- პროექტის წერა;
- ადვოკატირების კამპანია;
- სოციალური მედია;

ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში ჩართვის სურვილი გამოხატა **გამოკითხულთ 73%** პროცენტმა. თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის ადგილობრივ ინიციატივებში/ პროექტებში **ჩართულია გამოკითხულთა 51 %**.

3.3 კვლევის უკუკავშირი

კვლევაში მონაწილეობის და ზოგადად ჩატარებული შეხვედრის მიმართ კმაყოფილება დააფიქსირე **გამოკითხულთა 92%-მა**.

აღსანიშნავია ჩართულობის და აქტიურობის დონე შეხვედრების დროს. მოსაზრების სრულად გამოხატვა **შეძლო 89%-მა** და მიზნების წანასწარ **გაცნობა მოახერხა 97%**, რაც საშუალებას გვაძლევს წინამდებარე დასკვნები უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით გამოვიტანოთ.

ფასილიტაციის ხარისხით, შეხვედრის ორგანიზებულად წარმართვის პროცესიც დადებითად იქნა შეფასებული 95% იანი მაჩვენებელით.

შეხვედრისას საინტერესო და მნიშვნელოვან მხარეებზე საუბრისას დასახელდა საზოგადოების პრობლემებზე ღიად საუბრისა და თანატოლების აზრის გაგების შესაძლებლობა, სტერეოტიპებზე საუბარი, პრობლემების განხილვა და არჩევნების გზით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენა.

კვლევის მონაწილეების მიერ დასახელებულ რეკომენდაციებს შორის იყოს მსგავსი კვლევის ყველა ქალაქსა და სოფელში ცატარების აუცილებლობა, შეხვედრების ლანჩით უზრუნველყოფა და მსგავსი აქტოვობის სხვა ადგილას, მაგალიტად ქალაქგარეთ ჩატარება, ხანგრძლივობის შემცირება და მსგავსი შეხვედრების ინსტენსივობის გაზრდა.

4. ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება

1. ჯანსაღი ცხოვრების წესი - სპორტული დარბაზების და ინვენტარის არ არსებობას პრობლემად თვლის გამოკითხულთა უმრავლესობა, ისინი სპორტით არიან დაინტერესებულები, მაგარამ გამომდინარე იქედან, რომ სპორტული დარბაზები საკმარისი არ არის, ან სათანადოდ არაა აღჭურვილი, ეს პრობლემად სახელდება.
2. რეგიონებში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი ნათლად აისახა რესპოდენტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში. მათი აზრით პრობლემების უმრავლესობა გამოწვეულია არასაკმარისი ფინანსებით და სწორედ ეს განაპირობებს, მათ უიმედობას, უპერსპექტივობის განცდას და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას სხვა გარემოებების მიმართ.
3. რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობისთვის ფინანსური პრობლემების გარდა, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება წარმოადგენს პრიორიტეტს, როცა საზოგადოებრივი და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ ქალაქში მცხოვრებ მოზარდებს.

4. პრობლემების ჩამონათვალში ასევე დიდი ადგილი უკავია ბულინგის თემას. ახალგაზრდები თვლიან, რომ ძალიან ხშირია, როგორც ფიზიკური ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები მათ გარშემო, ამის გამომწვევებ ფაქტორად განათლების დაბალი დონე სახელდება, ოჯახური მდგომარეობა და ის გარემო, სადაც იზრდებიან.
5. ხარვეზები განათლების სისტემაში, არაფორმალური განათლების სიმცირე, ინდივიდზე მორგებული საგანმანათლებლო სისტემა, თვით რეალიზებისა, თვითპრეზენტაციის უნარის არ ცოდნა და პროფესიის სწორად არჩევის პრობლემა დგას ახალგაზრდებში.
6. 21 წლის ახალგაზრდების აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემაა კონსერვატიული განწყობა და ისეთი პროექტების სიმცირე, რაც თანამოაზრეების შეკრებას და მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს. გასართობი და თავშეყრის ადგილი, კინოთეატრის არ არსებობა, მდიდარი ბიბლიოთეკების სიმცირე, ახალგაზრდებისთვის განვითარების ხელიშემშლელ ფაქტორებად სახელდება.
7. ისეთი საკითხები, როგორც არის ცენტრალური და ქალაქამდე (ასევე სკოლებამდე) მისასვლელი გზების მოწესრიგება, სანიაღვრე არხები, სასმელი წყლით მომარაგება და აბანოების გაკეთება, დასახელებულია სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების მიერ, როცა ქალაქში მაცხოვრებელი სტუდენტების აზრით ეს საკითხი მეტ ნაკლებად მოგვარებულია.